საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1/422

04/11/2020

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 2 მარტის №1/89 ბრძანების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგია“, თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციას (დეპარტამენტი) დაევალოს ბრძანების ვებგვერდზე (info.police.ge) ოფიციალური წესით გამოქვეყნება.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებულ პირთათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისის, აღმაშენებლის ხეივანი №64).

მინისტრი
ვახტანგ გომელაური

დანართი

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების 2020 – 2023 წლების სტრატეგია

2020 წელი

სარჩევი

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია: ზოგადი მიმოხილვა 3

ძირითადი გამოწვევები 5

სტრატეგიული ხედვა და მიზნები 6

სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პრინციპები 7

1. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის სტრუქტურული განვითარება 8

1.1. მართლწესრიგის ოფიცრების მიერ ქალაქ თბილისის ტერიტორიული დაფარვა და საქართველოს სხვა მსხვილ ქალაქებსა და რეგიონებში მართლწესრიგის ოფიცრების ინსტიტუტის დანერგვის მიზნით გეგმისა და საშტატო განრიგის შემუშავება 8

2. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ფარგლებში კადრების შერჩევის, მომზადებისა და განვითარების მექანიზმების დახვეწა 9

2.1. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტება და არსებული ადამიანური რესურსების გაძლიერება 9

2.2. მართლწესრიგის ოფიცრების მომზადების/გადამზადების პროცესის გაუმჯობესება 9

2.3. ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებული პირებისთვის ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების განვითარება 10

3. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ფუნქციური განვითარება 11

3.1. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ფუნქციური განვითარების უზრუნველყოფა 11

3.2. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განხორციელებისთვის სამართლებრივი ბაზის დახვეწა 11

3.3. შესაბამისი სამოქმედო პროცედურების სტანდარტიზება და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა 12

3.4. პრევენციის მიმართულების გაძლიერება 12

3.5. არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილ სამართალდარღვევებზე/დანაშაულებზე რეაგირების და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელების ეფექტიანობის გაზრდა 13

3.6. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ეფექტიანობის გაზრდა 14

3.7. დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, ჩადენილ დანაშაულზე რეაგირებისა და პრევენციის კომპონენტის გაძლიერება 15

3.8. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება 15

4. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ფარგლებში უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესება 16

4.1. უწყებათაშორისი თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმის შექმნა 16

5. საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია 16
5.1 საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის შესახებ სამიზნე აუდიტორიის ცნობადობის ზრდა და ნდობის გაძლიერება 16
5.2 საზოგადოების/თემის ჩართულობის სტიმულირება 17
სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება 17
სამუშაო ჯგუფი 17
მონიტორინგი და შეფასება 17
დასკვნითი დებულება 18

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია: ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) საპოლიციო საქმიანობის შინაარსობრივი და სტრუქტურული რეფორმირების მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება, მიმდინარეობს „სისტემური განახლების“ პროცესი. სამინისტროს ახალი სტრატეგიული ხედვა საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარებას ეფუძნება, რომლის წარმატებით დანერგვაც ხელშესახებ შედეგებს მოიტანს დანაშაულის პრევენციის მიმართულებით, საზოგადოებაში სამართალდამცველთა ავტორიტეტის ამაღლების, პრობლემებისა და გამოწვევების დროული იდენტიფიცირებისა და რეაგირების, ასევე, საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის გზით. კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, სამინისტროში სპეციალიზაციათა გაძლიერებისა და საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მიმდინარეობს ოპერატიული, საგამოძიებო და საუბნო მიმართულებების მკაფიო გამიჯვნა. დანაშაულის პრევენციისკენ მიმართული საქმიანობა ძირითადად მოექცა საუბნო მიმართულებაში. რეფორმის მხარდასაჭერად, დანაშაულის გამომწვევ ფაქტორებზე პროაქტიული რეაგირების, საზოგადოებაში სამართალდამცველთა ავტორიტეტის ამაღლების, არსებული პრობლემების დროული იდენტიფიცირების, მოქალაქეთა საზოგადოებრივი უსაფრთხოების და დაცულობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროს სისტემაში შეიქმნა ახალი ინსტიტუტი - მართლწესრიგის ოფიცერი.

მართლწესრიგის ოფიცრის კონცეფცია აგებულია საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელზე, რომლის განვითარებაც XX საუკუნის 60-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაიწყო, რაც გამოწვეული იყო ტრადიციული საპოლიციო საქმიანობის ნაკლები ეფექტურობით.[1] კონცეფცია, სამართალდამცავი უწყებების საქმიანობის ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავებით, გულისხმობს, დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენას და პრობლემაზე რეაგირების პროაქტიული მიდგომის დანერგვას. დანაშაულზე რეაგირების ძირითადად რეპრესიული მიდგომები სრულად ვეღარ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, რაც ისეთი სამართალდამცავი სტრუქტურის შექმნას საჭიროებს, რომელიც მიმართული იქნება საზოგადოებასთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების დამყარებაზე და საზოგადოებაში არსებული პრობლემების ერთობლივი გამოვლენისა და გადაჭრის გზების ძიებაზე. აღნიშნული მიდგომის დანერგვის აუცილებლობა კიდევ უფრო აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც ათწლეულების მანძილზე დაგროვილმა საერთაშორისო პრაქტიკამ ცხადყო, რომ პოლიციელთა და მოქალაქეთა უშუალო სიახლოვით შესაძლებელია

[1] Bureau of Justice Assistance, Understanding Community Policing, a Framework for Action, Monograph, August 1994

ისეთი პრობლემების იდენტიფიცირება და პრევენცია, რომელთა გამოვლენა და აღმოფხვრა ტრადიციული საპოლიციო რესურსების მეშვეობით გაცილებით რთულია.

სამინისტროში მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვას, წინ უძღოდა უბნის-ინსპექტორთა ინსტიტუტის შემოღება, რომელიც 2005 წლიდან დაინერგა, მაგრამ ვერ შეძლო მის წინაშე არსებული მთავარი ამოცანის სრულყოფილად შესრულება, მოსახლეობასთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება და პოლიციელთა ავტორიტეტის მნიშვნელოვანი ზრდა საზოგადოებაში. ამის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო პრაქტიკაში მათი ძირითადად ოპერატიული ფუნქციებით დატვირთვა, ოპერატიულ საქმიანობაზე ორიენტირება და დანაშაულის გამოძიებასა და სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესებში ჩართვა. სამინისტროს სტრატეგიული ხედვის მიხედვით, ახალი ინსტიტუტის დანერგვის პროცესში გათვალისწინებულ იქნება ზემოაღნიშნული გამოცდილება და შესაბამისად, მოხდება არსებული რისკების თავიდან აცილება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) 2017 წლის 25 მაისის №275 ბრძანებით, დამტკიცდა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფცია. მართლწესრიგის ოფიცერთა უფლება-მოვალეობები პირველად განისაზღვრა მინისტრის 2018 წლის 26 მარტის №42 ბრძანებით, რომლითაც ცვლილება შევიდა ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ 2015 წლის 30 სექტემბრის №747 ბრძანებაში (დებულებას დაემატა მე-15 მუხლი). 2019 წლის პირველ თებერვალს მინისტრის №9 ნორმატიული ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების განახლებული რედაქცია, სადაც ნათლად გაიმიჯნა ოპერატიული, საგამოძიებო და საუბნო მიმართულებები და ფუნქციები. მართლწესრიგის ოფიცრების ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლების, დეტექტივ-გამომძიებლების, დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლების, დეტექტივების, უბნის ინსპექტორების, მართლწესრიგის ოფიცრებისა და ანალიტიკოსების საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2019 წლის 13 დეკემბრის №102 ბრძანებით.

ძირითადი გამოწვევები

საქართველოს პოლიციის მიმართ საზოგადოების ნდობის ნაკლებობა - საზოგადოების მიერ სამართალდამცველებთან ურთიერთთანამშრომლობისა და მათდამი ნდობის მაჩვენებელი, ისევე როგორც საზოგადოებაში არსებული დაცულობის განცდის ხარისხი საჭიროებს გაუმჯობესებას. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას სწორედ მოსახლეობასთან მჭიდრო, კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოყალიბება და ნდობის მოპოვება წარმოადგენს, რაც დანაშაულის ეფექტურ პრევენციას შეუწყობს ხელს და გააუმჯობესებს საზოგადოების კეთილდღეობის ხარისხს. ამავე დროს, თავად მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების ნდობას არსებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც ამ სამსახურის, ისე სრულიად სამართალდამცავი სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის.

პროფესიული დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება - იდენტიფიცირებულ გამოწვევებს შორის უნდა აღინიშნოს, ამ ინსტიტუტის, როგორც ახალი პოლიციური სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის შენარჩუნების საკითხი. მნიშვნელოვანი ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული იქითკენ, რომ არ მოხდეს კვლავ იმავე პრაქტიკის განვითარება, რომელსაც წარსულში უბნის ინსპექტორების ინსტიტუტის დანერგვის შემდგომ ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, რეფორმის საწყის ეტაპზე, მკაფიოდ განისაზღვრება მართლწესრიგის ოფიცერთა ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული პროცესის პარალელურად, ინტენსიურად განხორციელდება პოლიციის მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებულ თანამდებობის პირებისთვის ამ ინსტიტუტის მნიშვნელობასა და ფუნქციებზე ინფორმაციის მიწოდება. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის რეფორმის ნაწილია, ასევე, ამ სამსახურის მოსამსახურეთა დამოუკიდებლობის, საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის დონის გაძლიერება. დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მართლწესრიგის ოფიცერს, რომელსაც ყოველდღიურ საქმიანობაში უხდება სხვადასხვა გარემოებასთან შეხება, უნდა ჰქონდეს შესაბამისი უნარ-ჩვევები და ცოდნა.

კვალიფიციური კადრების მოზიდვა და მომზადება - გამოწვევებს შორის აღსანიშნავია კვალიფიციური კადრების დეფიციტი და შერჩევის პროცედურები. შესაბამისად, იკვეთება საჭიროება, რომ ერთი მხრივ, მოხდეს კადრების შერჩევის პროცესების ოპტიმიზაცია, ხოლო მეორე მხრივ, ინსტიტუტის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, განსაკუთრებით დამამთავრებელ კურსებზე მყოფ სამუშაოს მაძიებელ სტუდენტებს შორის. თავის მხრივ მნიშვნელოვანია მოზიდული და არსებული კადრების საჭიროებების შესაბამისად მათი მომზადება და პერიოდული გადამზადება.

უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავება - ეფექტიანი პრევენციული საქმიანობა საჭიროებს მჭიდრო უწყებათაშორისო თანამშრომლობის მექანიზმების არსებობას. აღნიშნული გაზრდის სხვადასხვა უწყების კომპეტენციებს დაქვემდებარებული სერვისების ხელმისაწვდომობას, ასევე ხელს შეუწყობს საზოგადოებისთვის პრობლემური გარემოებების დროულ და ეფექტიან პრევენციასა და აღმოფხვრას. ამდენად, მნიშვნელოვანია შეიქმნას და განვითარდეს მოქნილი უწყებათაშორისი თანამშრომლობის პლატფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს მართლწესრიგის ოფიცრების რეფერირების კომპონენტის გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, აისახება მოსახლეობისთვის სათანადო მხარდაჭერის აღმოჩენაში.

სტრატეგიული ხედვა და მიზნები

სამინისტროს ხედვის თანახმად, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვა წარმოადგენს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების პირველ ეტაპს, რომელიც მიზნად ისახავს, სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სხვადასხვა დანაყოფებსა და მოსახლეობას შორის დამატებითი საკომუნიკაციო პლატფორმის შექმნას. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების შემდგომ ეტაპებზე მოხდება კონცეფციის გავრცელება სამინისტროს სხვა სტრუქტურების საქმიანობაზე. აღნიშნული პროცესი ასევე ხელს შეუწყობს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განვითარებას.

მართლწესრიგის ოფიცრის სამსახური, როგორც სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრევენციული ინსტიტუტი, ორიენტირებულია პროაქტიულ მიდგომებზე და საზოგადოებასთან მჭიდრო კომუნიკაციის დამყარებაზე, რის შედეგადაც გაიზრდება სამართალდამცავების მიმართ ნდობის ხარისხი, ასევე გაუმჯობესდება საზოგადოებაში დაცულობის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხები.

მართლწესრიგის ოფიცრები, მოსახლეობის დახმარების მიზნით, თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე, შესაბამის ჩართულ მხარეებთან პარტნიორული ურთიერთობების გზით, მოახდენენ თემში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათ ხელთ არსებული სხვადასხვა საშუალებით/მექანიზმით, განახორციელებენ მათზე მიმართულ პრევენციულ ღონისძიებებს, აგრეთვე რეფერირება-მედიაციის გზით, შესაბამის უწყებებთან სწრაფ და ეფექტიან გადამისამართებას.

ინსტიტუტის **მთავარი მისიაა** ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მოქალაქეთა დაცულობის შეგრძნების გაზრდა, საზოგადოებასა და სამართალდამცავების

დაახლოება, პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება და ნდობის ფორმირება, პრევენციული საქმიანობის გაძლიერება და მართლწესრიგის დაცვა.

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის განვითარების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობა. აგრეთვე, შეფასდება პრაქტიკოსი მართლწესრიგის ოფიცრების მოსაზრებები.

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის განვითარებასთან დაკავშირებით სამინისტროს **სტრატეგიული ხედვაა:**

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის თანმიმდევრული განვითარება, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის, დანაშაულის პრევენციისა და საზოგადოებასთან თანამშრომლობის მაღალ ხარისხს.

2020-2023 წლებში სამინისტროს საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის განვითარების სტრატეგიული მიზნებია:

- მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის სტრუქტურული განვითარება;
- საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ფარგლებში კადრების შერჩევის, მომზადებისა და განვითარების მექანიზმების დახვეწა;
- მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ფუნქციური განვითარება და ეფექტიანობის ზრდა;
- საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ფარგლებში უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესება;
- საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება.

სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პრინციპები

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის სტრატეგიის შემუშავებისა და მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის განვითარების პროცესი ითვალისწინებს მაქსიმალურად ღიად, სხვადასხვა უწყებებთან და საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობით, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, მართლწესრიგის ინსტიტუტის ფუნქცია-მოვალეობებზე დაყრდნობით, არსებული პრობლემების, პრიორიტეტებისა და პრინციპების განსაზღვრას.

სტრატეგია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ადამიანის უფლებების დაცვა;
- გამჭირვალობა და ღიაობა;
- სამართლიანობა და კანონიერება;
- პროფესიონალიზმი;
- პარტნიორობა;
- საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და “საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებული (პოლიციელის საქმიანობის) სხვა პრინციპები.

1. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის სტრუქტურული განვითარება

1.1. მართლწესრიგის ოფიცრების მიერ ქალაქ თბილისის ტერიტორიული დაფარვა და საქართველოს სხვა მსხვილ ქალაქებსა და რეგიონებში მართლწესრიგის ოფიცრების ინსტიტუტის დანერგვის მიზნით გეგმისა და საშტატო განრიგის შემუშავება

მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტმა ფუნქციონირება დაიწყო ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში და საპილოტე რეჟიმში დაფარა ვაკე-საბურთალოსა და ძველი თბილისის რაიონები.

სწორი სტრუქტურული განვითარებისთვის, განისაზღვრება ყველა ის პრინციპი, რის მიხედვითაც გაგრძელდება შემდგომი ტერიტორიული დაფარვა როგორც ქალაქ თბილისში, ასევე - რეგიონებში. ქალაქ თბილისის რაიონების სრულად დაკომპლექტების შემდგომ, დაიგეგმება მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვა საქართველოს რეგიონებში, რომლის დროსაც ასევე მხედველობაში იქნება მიღებული ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: მოსახლეობის რაოდენობა, დასახლებათა განშლადობა, კონკრეტულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელი ეთნიკური უმცირესობები, დანაშაულის სტატისტიკა და დინამიკა. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ქვეყნის მასშტაბით სრულად გავრცელების მიზნით, შესწავლილ იქნება საქართველოს მსხვილ ქალაქებსა და რეგიონებში საშტატო გადანაწილება და შემუშავდება გადანაწილების პრინციპი. პირველ ეტაპზე, ქალაქ თბილისში განხორციელებული რეფორმის ანალიზის შემდგომ, იგეგმება რეფორმის განხორციელება სხვა დიდ ქალაქებში.

ამასთან, იგეგმება მუშაობის დაწყება მართლწესრიგის ოფიცრის ხაზით მენეჯერული მოდელის განვითარებაზე.

2. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ფარგლებში კადრების შერჩევის, მომზადებისა და განვითარების მექანიზმების დახვეწა

2.1. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტება და არსებული ადამიანური რესურსების გაძლიერება

რეფორმის ფარგლებში უმნიშვნელოვანესია მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ჩამოყალიბდება სწორი საკადრო პოლიტიკა. შემუშავდება და საჭიროებიდან გამომდინარე, მუდმივად განახლდება კადრების მოზიდვის საინფორმაციო კამპანიები/აქტივობები. ასევე, შემუშავდება და დამტკიცდება მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

2.2. მართლწესრიგის ოფიცრების მომზადების/გადამზადების პროცესის გაუმჯობესება

მართლწესრიგის ოფიცრების მომზადება/გადამზადების პროცესის ოპტიმიზაცია და არსებულ გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა ის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც განაპირობებს ამ სამსახურის ეფექტურობას. აღნიშნულ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის (შემდგომში - შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია) როლს.

გაგრძელდება მართლწესრიგის ოფიცრების გადამზადების პროცესის სრულყოფა, რაც გულისხმობს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის როგორც არსებულ საბაზისო პროგრამაში საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის სხვადასხვა კომპონენტის ინტეგრირების პროცესს, აგრეთვე მართლწესრიგის ოფიცრობის მსურველთათვის

სპეციალური მომზადების პროგრამის შემუშავებასა და დანერგვას. მუდმივად განხორციელდება მოქმედი მართლწესრიგის ოფიცრების პროფესიული უნარების განვითარებისთვის საჭიროებების იდენტიფიცირება, ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, მათ შორის საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, სასწავლო ვიზიტებისა და კონფერენციების ორგანიზება.

იდენტიფიცირებული საჭიროებების საფუძველზე, საჭიროა რეგულარულად მოხდეს მართლწესრიგის ოფიცრებისთვის შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება, რომლებიც მიმართულია საზოგადოებასთან, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობის ტექნიკის განვითარებაზე, ასევე კონფლიქტის მოგვარებაზე, მედიატორული თუ სხვა სახის პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერებაზე.

2.3. ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებული პირებისთვის ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების განვითარება

მართლწესრიგის ოფიცრის საქმიანობის ეფექტურობის ზრდის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ მათ ხელმძღვანელებს სწორად ესმოდეთ საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის პრინციპები და ის მიდგომები, რასაც ემყარება ეს ინსტიტუტი პრაქტიკაში. აღნიშნულ საკითხზე დაიგეგმება ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ პირებთან პერიოდული შეხვედრები და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები.

სტრატეგიის განხორციელების საწყის ეტაპზე დიდი ყურადღება დაეთმობა საზოგადოებაზე ორიენტირებულ საპოლიციო სისტემაში მომუშავე ხელმძღვანელი პირების ცნობიერების ამაღლებას მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვის დადებითი შედეგების შესახებ. საზოგადოებრივი უსაფრთხოების, დანაშაულის პრევენციისა და მართლწესრიგის დაცვის საკითხებში ინსტიტუტის როლის სწორი შეფასებისა და ხედვის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით გაგრძელდება შესაბამისი მუშაობა ხელმძღვანელ პირებთან (მენეჯერებთან).

ხელმძღვანელი რგოლი, თავის მხრივ, რეფორმის განხორციელებისა და მხარდაჭერის პროცესში ერთ-ერთ მთავარ საყრდენად განიხილება, შესაბამისად, გაგრძელდება ხელმძღვანელი პირების შესაძლებლობების განვითარება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მენეჯმენტის (მართვის) მიმართულებით.

3. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ფუნქციური განვითარება

3.1. მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ფუნქციური განვითარების უზრუნველყოფა

მართლწესრიგის ოფიცრის საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობების ზუსტად განსაზღვრა. აღნიშნული პროცესის სრულფასოვნად წარმართვის მიზნით, შეფასდება საპილოტე პროექტი პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. მათ შორის, მოხდება შესაბამისი პროფილით მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და მართლწესრიგის ოფიცრის სამსახურის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა პერიოდული კვლევებისა და შეფასებების გათვალისწინება.

მართლწესრიგის ოფიცრის საპილოტე პროექტის შეფასებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი მიგნებების საფუძველზე, შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული მიზნად ისახავს, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის, კერძოდ, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის განვითარების ხელშეწყობას და საპილოტე პროექტის ფარგლებში გამოვლენილი შესაძლო ხარვეზების აღმოფხვრას. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებული იქნება შესაბამისი ექსპერტების ჩართულობა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების, მათ შორის, პროფილური არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას. იმისათვის, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელის დანერგვის პროცესში მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესი, გაიმართება სამუშაო შეხვედრები და შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ფუნქციური განვითარების კონტექსტში.

3.2. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განხორციელებისთვის სამართლებრივი ბაზის დახვეწა

გაგრძელდება შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შესწავლა და დახვეწა. საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის შემდგომი განვითარების პროცესში მოხდება მართლწესრიგის

ოფიცრების მიმდინარე პრაქტიკის შესწავლა/შეფასება ფუნქცია-მოვალეობებისა და კომპეტენციების გადახედვის საჭიროების დადგენის მიზნით.

3.3. შესაბამისი სამოქმედო პროცედურების სტანდარტიზება და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა

მართლწესრიგის ოფიცრების საუკეთესო სამუშაო პრაქტიკის დანერგვის მიზნით, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, იდენტიფიცირებული საჭიროებების შეფასების საფუძველზე, განისაზღვრება ის მიმართულებები, რომლებთან დაკავშირებითაც მიზანშეწონილია სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შემუშავება და მომზადდება შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ი. აღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტ(ებ)ი ხელს შეუწყობს კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით სტანდარტიზებული და კვალიფიციური მიდგომის ჩამოყალიბებას.

3.4. პრევენციის მიმართულების გაძლიერება

მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის, როგორც საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სწორედ დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების პრევენციაა, საზოგადოების მაღალი მხარდაჭერის მოპოვების გზით. ეფექტური პრევენციული საქმიანობისთვის მართლწესრიგის ოფიცერს სჭირდება მუდმივად განახლებადი პრევენციული მიდგომის დაგეგმვა და ოპერაციული დონის სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება. აღნიშნული საქმიანობა შესაბამისობაში იქნება საერთო პრევენციული პოლიტიკის მიდგომებთან და პრიორიტეტებთან.

მეორე მხრივ, დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობით, ჩამოყალიბდება და განისაზღვრება მიდგომები და ოპერაციული დონის სტრატეგია მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებით. ამ ჯგუფების იდენტიფიცირებისა და მათთან სწორი სამუშაო ფორმატის დასახვის მიზნით, სამინისტრო მჭიდროდ ითანამშრომლებს შესაბამისი პროფილის მქონე ორგანიზაციებთან (არასამთავრობო ორგანიზაციები, ბაღები, სკოლები, უნივერსიტეტები, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, ნარკოპრევენციაში ჩართული უწყებები და სხვა).

მართლწესრიგის ოფიცერთა პრევენციული საქმიანობის ეფექტურობის ზრდის მიზნით, აუცილებელია დანაშაულის ანალიზის კუთხით მომუშავე ანალიტიკოსებთან თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაუმჯობესება/გაღრმავება. დანაშაულის ტენდენციების, სტატისტიკისა და ცხელი წერტილების გათვალისწინებით, შესაძლებელია პრევენციული ღონისძიებების ოპერაციულ დონეზე ეფექტიანად დაგეგმვა და განხორციელება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად განისაზღვრება ანალიტიკოსებისა და მართლწესრიგის ოფიცრების მჭიდრო კოორდინაციის ფორმატი.

მართლწესრიგის ოფიცრების საქმიანობის ეფექტურად განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული პრობლემების სწორი იდენტიფიცირება და მათზე დროული რეაგირება, რაც ემსახურება იქ მცხოვრები, აგრეთვე დასაქმებული კერძო და იურიდიული პირებისთვის უსაფრთხო საცხოვრებელი და ბიზნეს გარემოს შექმნას. ამ მიზნით, მართლწესრიგის ოფიცრებისთვის შემუშავდება საკვლევი ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებით, მოსახლეობასთან/საზოგადოებასთან უშუალო კომუნიკაციის შედეგად, მართლწესრიგის ოფიცრების მიერ მოხდება კონკრეტული სამიზნე არეალის უკეთ შესწავლა. აღნიშნული ინსტრუმენტების საშუალებით გამარტივდება და სისტემატურ სახეს მიიღებს მართლწესრიგის ოფიცრების საქმიანობის დაგეგმვის კომპონენტი. გარდა ამისა, ხელმძღვანელი რგოლისთვის, შეიქმნება მენეჯმენტისა და მონიტორინგის მექანიზმი, როგორც დაქვემდებარებული მოსამსახურეების საქმიანობის, ასევე სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ინფორმაციის მიღების კუთხით.

3.5. არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილ სამართალდარღვევებზე/ დანაშაულებზე რეაგირების და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა/ განხორციელების ეფექტიანობის გაზრდა

არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი სამართალდარღვევის/დანაშაულის პრევენცია მნიშვნელოვანი გამოწვევაა მართლწესრიგის ოფიცრის სამსახურისთვის. აღნიშნულ პრობლემასთან ქმედითად გამკლავების მიზნით, ეფექტური უწყებათაშორისი მექანიზმების ჩამოყალიბების პროცესში, განისაზღვრება მართლწესრიგის ოფიცრის საქმიანობის გასაძლიერებელი საშუალებები.

მართლწესრიგის ოფიცრის სამოქმედო ტერიტორიაზე მუდმივად მოხდება არსებული პრობლემატიკის ანალიზი, შეიქმნება საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობის მოქნილი პლატფორმები, გაგრძელდება აღნიშნულ დაწესებულებებთან მუშაობის

მეთოდოლოგიის, გამოვლენილ ინციდენტებზე ეფექტური რეაგირებისა და შემდგომი მონიტორინგის მექანიზმების დახვეწა.

არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილ სამართალდარღვევებზე/დანაშაულებზე ეფექტური პრევენციული პოლიტიკისა და მიდგომის შემუშავების მიზნით წარიმართება პროაქტიული მუშაობა მართლწესრიგის ოფიცრის სამოქმედო ტერიტორიებზე არსებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან, სკოლებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. აღნიშნული მიმართულებით ასევე გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა.

სკოლებში მომხდარ ინციდენტებზე მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ინფორმირების, შესაბამისი რეაგირებისა და პრევენციული მოქმედებების წარმატებით განხორციელების მიზნით გაგრძელდება და გაუმჯობესდება თანამშრომლობა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან. აღნიშნულ ინციდენტებთან დაკავშირებით ინფორმაციის მუდმივი ცვლა მართლწესრიგის ოფიცრებს საშუალებას მისცემს დროულად გაეცნონ არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ მომხდარ სამართალდარღვევის/დანაშაულის ფაქტებს, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საოპერაციო დონეზე შესაბამისი აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, განხორციელდება მართლწესრიგის ოფიცრების მიერ არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილ სამართალდარღვევებზე რეაგირებისა და ამ კუთხით განხორციელებული პრევენციული ღონისძიების ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები.

3.6. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ეფექტიანობის გაზრდა

მართლწესრიგის ოფიცრების საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირება, გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების ეფექტიანი მონიტორინგი და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების სწორი და ეფექტიანი დაგეგმვა. შემუშავდება მოსახლეობის ადგილობრივ პრობლემატიკაზე ადაპტირებული მიდგომები და მექანიზმი, რომელიც შეისწავლის, თუ რა

პრინციპით უნდა მოახდინონ მართლწესრიგის ოფიცრებმა შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედების ადრეული იდენტიფიცირება და პრევენცია.

გაძლიერდება პრევენციული ღონისძიებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებით. შეფასდება მართლწესრიგის ოფიცრების მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებების ხარისხი. საჭიროების შემთხვევაში, მომზადდება რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს მართლწესრიგის ოფიცრების კომპეტენციის გაძლიერებას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის კუთხით.

3.7. დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, ჩადენილ დანაშაულზე რეაგირებისა და პრევენციის კომპონენტის გაძლიერება

მართლწესრიგის ოფიცერმა უნდა შეძლოს ეფექტიანი პრევენციული საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, ჩადენილ დანაშაულებზე. მას უნდა შეეძლოს პრობლემის ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა, მისი გამომწვევი ფაქტორების განსაზღვრა და შემდგომი პრევენციული ზომების სწორი შერჩევა.

იმისათვის, რომ მართლწესრიგის ოფიცრების საქმიანობა იყოს ეფექტური, ისეთი რთულად აღმოსაჩენი პრობლემის დროსაც კი, როგორიცაა დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული, საჭიროა მათი საქმიანობის სწორად დაგეგმვა, კონტროლი, შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების შემუშავება.

3.8. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების პროცესში ეტაპობრივად მოხდება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება. მართლწესრიგის ოფიცრის ყოველდღიური საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებისთვის მუდმივად განხორციელდება არსებული საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

4. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ფარგლებში უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესება

4.1. უწყებათაშორისი თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმის შექმნა

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ეფექტური დანერგვა შეუძლებელია უწყებათაშორისი თანამშრომლობის განვითარების გარეშე. სწორედ ამიტომ განისაზღვრება რელევანტური სახელმწიფო უწყებები, თუ საქვეუწყებო დაწესებულები და შემუშავდება თანამშრომლობის პლატფორმები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაღრმავდეს პარტნიორული ურთიერთობები და შეთანხმდეს თანამშრომლობის სფეროები ისეთ უწყებებთან, როგორიცაა: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური; ქ. თბილისის მერია/გამგეობები. აღნიშნული თანამშრომლობის პლატფორმების ჩამოყალიბება მართლწესრიგის ოფიცერს ხელს შეუწყობს ეფექტურად განახორციელოს რეფერირების ფუნქცია და სხვადასხვა გარემოებების დროს მისცემს მას საშუალებას საფუძვლიანად დაეხმაროს მოსახლეობას.

5. საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია

5.1 საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის შესახებ სამიზნე აუდიტორიის ცნობადობის ზრდა და ნდობის გაძლიერება

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ცნობადობის გაზრდის მიზნით მოხდება არსებული საკომუნიკაციო არხების მაქსიმალური გამოყენება და გაიმართება სხვადასხვა საინფორმაციო კამპანია. საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია მართლწესრიგის ოფიცრის საქმიანობის შესახებ.

მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის მიმართ ნდობის გაძლიერების მიზნით, გაგრძელდება პირდაპირი/უშუალო კომუნიკაცია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან, ცალკეული ჯგუფების სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

5.2 საზოგადოების/თემის ჩართულობის სტიმულირება

მართლწესრიგის ოფიცრებს მუდმივი კომუნიკაცია ექნებათ თავიანთი სამოქმედო ტერიტორიის მოსახლეობასთან. საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრევენციულ საქმიანობაში საზოგადოების/თემის ჩართულობის გაზრდის მიზნით, დაიგეგმება ერთობლივი ღონისძიებები.

სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

სამუშაო ჯგუფი

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების მიზნით, მინისტრის 2020 წლის 2 მარტის N1/89 ბრძანებით[2] შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია შიდაუწყებრივი კომუნიკაციის გაძლიერებასა და სამინისტროს სისტემაში საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის კუთხით, პოლიტიკის დაგეგმვასა და განვითარებაზე. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სამდივნოს ფუნქცია განესაზღვრა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს.

მონიტორინგი და შეფასება

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სამდივნო, წინამდებარე სტრატეგიის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, რეგულარულად მოამზადებს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების სტრატეგიის შესრულების ანგარიშებს (არანაკლებ 6 თვეში ერთხელ). ამ მიზნით, სამდივნო შეიმუშავებს და სამუშაო ჯგუფის წევრებს მიაწვდის

[2] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 2 მარტის N1/89 ბრძანება: „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“.

მონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო ანგარიშგების შაბლონებს და განსაზღვრავს იმ ვადებს, რომელშიც პასუხისმგებელმა დანაყოფებმა უნდა უზრუნველყონ მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და დადგენილი ფორმით ინფორმაციის მიწოდება სამდივნოსათვის.

დასკვნითი დებულება

სტრატეგიაში ხაზგასმულ გამოწვევებთან ეფექტურად გამკლავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის ხარისხის გაუმჯობესების, მოქალაქეთა დაცულობის შეგრძნების ზრდის, ნდობის ფორმირების, პრევენციული საქმიანობის განვითარების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის თვალსაზრისით.

მართლწესრიგის ოფიცრის ძლიერი ინსტიტუტის დანერგვა ხელს შეუწყობს საზოგადოებასთან ნდობაზე დაფუძნებული პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას და დანაშაულის ადრეულ ეტაპზე პრევენციას.

სტრატეგიის განხორციელების შედეგად შექმნილი პლატფორმები და მექანიზმები კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის სამინისტროს საქმიანობას და პრიორიტეტებს. აღნიშნული უზრუნველყოფს სამინისტროზე დაკისრებული ამოცანების წარმატებით შესრულებას.